თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი

N 5

ქ. თეთრიწყარო 28.03.2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გულიკო შოშიტაშვილი;
2. გალინა ოქროპირიძე;
3. დავით ბაციკაძე;
4. მურმან დვალაძე;
5. ზურაბ გუჯეჯიანი;
6. ალექსანდრე კვერნაძე;
7. ალექსანდრე მუკბანიანი;
8. მინდია ცეცხლაძე;
9. ლეილა ხაჭვანი;
10. გურამ შავაძე;
11. ბიჭიკო ბიჭიაშვილი;

დღის წესრიგი:

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრების მიერ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 19 მარტის № 355 ბრძანებით დამტკიცებული, მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების განხილვა.

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ახალი შემადგენლობიდან თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარეების არჩევა.

განიხილეს: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება, რომლითაც განსაზღვრულია საბჭოს უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი.

აზრი გამოთქვეს :

გ.შოშიტაშვილმა, ა.კვერნაძემ, ა. მუკბანიანმა, ლ.ხაჭვანმა, მ.ცეცხლაძემ, გ.შავაძემ, დ.ბაციკაძემ.

მ.ცეცხლაძემ თანათავმჯდომარეობის სურვილი გამოთქვა, ა. კვერნაძემ წევრებს მიმართა და არჩევის შემთხვევაში თანათავმჯდომარედ ყოფნის თანხმობა განაცხადა.

გ.შოშიტაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების სურვილიდან გამომომდინარე, მიზანშეწონილია დებულებით გათვალისწინებული თანათავმჯდომარეების რაოდენობა ნაცვლად ორისა, განისაზღვროს 3 თანათავმჯდომარით.

დაადგინეს:

საბჭომ მიმართოს მერს თხოვნით, შეიტანოს ცვლილება დებულებაში თანათავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით და ნაცვლად ორისა, განისაზღვროს 3 თანათავმჯდომარე.

მოწონებულ იქნას თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული დებულების სხვა პუნქტები და მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ.

განიხილეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, საბჭოს ახალი შემადგენლობიდან თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარეების არჩევის შესახებ.

აზრი გამოთქვეს :

გ.შოშიტაშვილმა, ა. კვერნაძემ, ა. მუკბანიანმა, გ.შავაძემ, ლ.ხაჭვანმა, მ. ცეცხლაძემ, გ.ოქროპირიძემ, ლ.ხაჭვანმა, ბ.ბიჭიაშვილმა, მ.დვალაძემ, ზ.გუჯეჯიანმა. საბჭოს შემადგენლობამ თავმჯდომარედ დაასახელა გ.შოშიტაშვილი
მ.ცეცხლაძემ, თანათავმჯდომარედ წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა.
საბჭოს წევრებმა ორ თანათავმჯდომარედ დაასახელეს ა. კვერნაძე და დ. ბაციკაძე.

დაადგინეს :

<u>საბჭოს თავმჯდომარედ</u> ერთხმად არჩეულ იქნას არასამთავრობო ორგანიზაციის ,,საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარე, გულიკო შოშიტაშვილი.

<u>თანათავმჯდომარეებად</u> არჩეულ იქნან დ.ბაციკაძე, მ. ცეცხლაძე, ა. კვერნაძე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის მონაწილეები შეთანხმდნენ შეხვედრის სავარაუდო თარიღზე, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში რიგგარეშე შეკრებისთვისაც მზადყოფნა გამოთქვეს.

ამის შემდგომ სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

1. გულიკო შოშიტაშვილი
2. გალინა ოქროპირიძე
3. დავით ბაციკაძე
4. მურმან დვალაძე
5. ზურაბ გუჯეჯიანი
6. ალექსანდრე კვერნაძე
7. ალექსანდრე მუკბანიანი
8. მინდია ცეცხლაძე
9. ლეილა ხაჭვანი
10. გურამ შავაძე
11. ბიჭიკო ბიჭიაშვილი